

ხელშეკრულება N14
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.თბილისი

3.02.2021 წ

ერთის მხრივ, **ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს** (შემდგომში **სერვის-პროვაიდერი**), წარმოდგენილი მერის **ჯონდო მდივნიშვილის** სახით, და მეორეს მხრივ, **სს “გაერთიანებული კლირინგ ცენტრი”** (შემდგომში **ცენტრი**), წარმოდგენილი მისი დირექტორის **ბ-ნ ათანასე მაკარიდის** მიერ, შეთანხმდნენ შემდეგზე.

ტერმინთა განმარტება

წინამდებარე ხელშეკრულების მითითებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

სერვის-პროვაიდერი – **ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი** მისამართი: ქ.ლაგოდეხი 26 მაისის ქ.N 25
საიდენტიფიკაციო კოდი: 233144987

ცენტრი – სს “გაერთიანებული კლირინგ ცენტრი”, რეგისტრირებული ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2008 წლის 22 ივლისს, საიდენტიფიკაციო კოდი: 204558353.

მხარეები – წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები **ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი** და სს “გაერთიანებული კლირინგ ცენტრი”.

ხელშეკრულება – მხარეებს შორის გაფორმებული წინამდებარე ხელშეკრულება.

კლიენტი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც გაუწევს მომსახურებას **სერვის-პროვაიდერი**.

კლიენტის ანგარიში – ანგარიში **სერვის-პროვაიდერის** საბილინგო სისტემაში, სადაც თითოეული **კლიენტისთვის** გაწეული მომსახურებისა და **გადახდების** მიხედვით აღირიცხება **კლიენტის** დავალიანებისა და ავანსის საბოლოო ნაშთი.

სერვის-პროვაიდერის საბილინგო სისტემა – **სერვის-პროვაიდერის** მონაცემთა ცენტრალური ბაზა, სადაც ცალ-ცალკე (გამოყოფილად) მოცემულია ყველა **კლიენტის** ანგარიში, და რომელზედაც **ცენტრს**, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, გააჩნია **სერვის-პროვაიდერის** მიერ დაშვებული წვდომის ელექტრონული საშუალება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფარგლებში;

გადახდები – საცალო გადახდები, რომელთა გადახდა მოსახლეობას უწევს პერიოდულად. მათ შორის მოიაზრება: კომუნალური გადახდები; სადაზღვეო პრემიები; სატელეკომუნიკაციო და ინტერნეტ პროვაიდერი კომპანიების მომსახურების საფასური; საჯარიმო გადასახდელები და სხვა...

გადამხდელი – ნებისმიერი პირი, რომელიც **კლიენტის** სახელით ახორციელებს **გადახდას**;

ბანკი – **ცენტრის** საკლირინგო სისტემაში ჩართული კომერციული ბანკები წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #3-ის შესაბამისად.

აგენტი - საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და საქართველოს ეროვნულ ბანკში საგადახდო მომსახურების პროვაიდერად რეგისტრირებული იურიდიული პირები

ტექნიკური ხარვეზი - ცენტრისთვის აგენტის მიერ არასწორად მოწოდებული ინფორმაცია რომელიც გამოწვეულია სისტემის გაუმართავი მუშაობით ან/და გადამხდელის მიერ აგენტისთვის წარდგენილი მოთხოვნა, შესრულებული გადახდის გაუქმების თაობაზე.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 **ხელშეკრულების** პირობების შესაბამისად, მხარეები ითანამშრომლებენ **კლიენტთა გადახდების** მიღების სფეროში.

1.2 **ხელშეკრულების** პირობების შესაბამისად, **ცენტრი** უზრუნველყოფს, რომ **აგენტებმა** საგადამხდელო

მუხლი 2. მხარეთა გარანტიები და წარმომადგენლობა

- 2.1 მხარეები აცხადებენ, რომ მათი წარმომადგენლები, რომლებიც აწერენ ხელშეკრულებას ხელს, სრულად არიან უფლებამოსილნი ხელშეკრულების დასადებად მხარეთა წესდებებით გათვალისწინებული შესაძლო ნებართვების ჩათვლით.
- 2.2 მხარეები აცხადებენ, რომ ხელშეკრულების ხელმოწერითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედებების შესრულებით არ არღვევენ და/ან არ დაარღვევენ მოქმედ კანონმდებლობას, საკუთარ წესდებას და/ან სხვა ნებისმიერ მარეგულირებელ დოკუმენტს.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობა

- 3.1 ძირითადი უფლებები-მოვალეობები:
 - 3.1.1 ხელშეკრულების მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულებიდან და კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა ჯეროვანი შესრულება.
 - 3.1.2 ხელშეკრულებიდან და კანონმდებლობიდან გამომდინარე მხარეები ვალდებული არიან ხელშეკრულების პირობები შეასრულონ ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილზე.
- 3.2 უფლებები და ვალდებულებები ოპერაციების წარმოებისას:
 - 3.2.1 გადახდის განხორციელების მიზნით ცენტრს, აგენტების საგადამხდელო არხების საჭიროების ან/და აუცილებლობის შემთხვევაში, უფლება აქვს ტექნოლოგიური არხების მეშვეობით, სერვის-პროვაიდერის საბილინგო სისტემიდან მიიღოს ინფორმაცია კლიენტთა მიმდინარე დავალიანების შესახებ დანართ #2-ში წარმოდგენილი შეტყობინების შესაბამისად.
 - 3.2.2 ცენტრი ვალდებულია დააფიქსიროს გადამხდელთა მიერ განხორციელებული გადახდების შესახებ ინფორმაცია სერვის-პროვაიდერის საბილინგო სისტემაში რეალური დროის რეჟიმში გადახდისთანავე, დანართ #2-ში აღნიშნული შეტყობინების შესაბამისად.
 - 3.2.3 სერვის-პროვაიდერი ვალდებულია უზრუნველყოს ცენტრის 24 საათიანი წვდომა სერვის-პროვაიდერის საბილინგო სისტემაზე. წვდომის დარღვევის შემთხვევაში, აღმოჩენისთანავე შეატყობინოს ცენტრს და მიიღოს ყველა ზომა წვდომის აღსადგენად გონივრულ ვადაში.
 - 3.2.4 სერვის-პროვაიდერი იღებს ვალდებულებას არ მიიღოს სანქციები იმ კლიენტთა მიმართ, რომელთა გადახდების შესახებ ცენტრმა შეტყობინება დააფიქსირა სერვის-პროვაიდერის საბილინგო სისტემაში, ხოლო გადახდილად ჩათვალოს მას შემდგომ, რაც აღნიშნული თანხა ჩაირიცხება სერვის-პროვაიდერის საბანკო ანგარიშზე.
 - 3.2.5 ცენტრი უფლებამოსილია მოახდინოს სერვის-პროვაიდერისთვის მისაღები თანხის დაკავება იმ შემთხვევაში თუ სხვა ტრანზაქციის დროს ტექნიკური ხარვეზის შედეგად სერვის პროვაიდერის ანგარიშზე მოხდა თანხის ჩაირიცხვა და ამ უკანასკნელის მიერ არ მოხდა თანხის დაბრუნება 5.1 მუხლიდან გამომდინარე. დაუშვებელია იმაზე მეტი ოდენობით თანხის დაკავება რომელიც გამოწვეული იყო ტექნიკური ხარვეზით.
 - 3.2.6 ცენტრი ვალდებულია აგენტების მეშვეობით უზრუნველყოს მიღებული გადახდების თანხის ჩაირიცხვა დანართი #1-ში მითითებულ სერვის-პროვაიდერის ანგარიშ(ებ)ზე არაუგვიანეს გადახდის განხორციელებიდან მომდევნო სამუშაო დღისა. ხოლო თუ გადახდა განხორციელდა პლასტიკური ბარათის საშუალებით – არაუგვიანეს ორი სამუშაო დღისა.
 - 3.2.7 თუ ცენტრის მიერ წინასწარი შეტყობინებით დაფიქსირებული შესაბამისი თანხა შესაბამისი აგენტის მიერ არ ჩაირიცხა სერვის-პროვაიდერის ანგარიშზე ხუთი საბანკო დღის განმავლობაში, სერვის-პროვაიდერი უფლებამოსილია გააუქმოს გადახდების წინასწარი შეტყობინებები თავის საბილინგო სისტემაში და მოსთხოვოს (წერილობით) ცენტრს, რათა შესაბამის აგენტს შეუწყდეს სერვის-პროვაიდერის სერვისის მიწოდება.
 - 3.2.8 თუ სერვის-პროვაიდერი მთლიანად ან ნაწილობრივ არ ეთანხმება მიღებულ ინფორმაციას გადახდის შესახებ, ის ვალდებულია ათი სამუშაო დღის განმავლობაში წერილობით (მათ შორის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) წარუდგინოს ცენტრს დასაბუთებული უარი ასეთი გადახდის აღიარებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდგენილი ინფორმაცია ჩაითვლება დადასტურებულად სერვის-პროვაიდერის მიერ.
 - 3.2.9 სერვის-პროვაიდერი უფლებამოსულია უზრუნველყოს კლიენტების ინფორმირება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სერვისის აგენტებთან არსებობის შესახებ თავისი ვებ-გვერდის და სხვა სარეკლამო საშუალებათა მეშვეობით.
- 3.3 სერვის-პროვაიდერი ვალდებულია უზრუნველყოს კონონმდებლობით მოთხოვნილი ფულის

- 3.3.1 სერვის პროვაიდერი ვალდებულია 5 სამუშაო დღის ვადაში ცენტრს წერილობით მიაწოდოს შემდეგი სახის ინფორმაცია: კომპანიის მისამართის ცვლილება, კომპანიის დასახელების ცვლილება, საიდენტიფიკაციო კოდის ცვლილება, საქმიანობის სფეროს შეცვლა, წილების ცვლილების შესახებ ინფორმაცია, დამფუძვნებლების ცვლილება, დირექტორის ცვლილება ან სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ცვლილება, ასევე უფლებამოსილი პირის ცვლილება/დროებითი მოვალეობის შემსრულებლის შემთხვევაშიც.
- 3.3.2 ხელშეკრულების გასაფორმებლად, აუცილებელია სერვის პროვაიდერმა, 7 სამუშაო დღის ვადაში ცენტრს მიაწოდოს ინფორმაცია კომპანიის იდენტიფიკაციისთვის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომელსაც მას მიაწოდებს სისტემის შესაბამისი სამსახურის თანამშრომელი, ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე.
- 3.3.3 ცენტრი იტოვებს უფლებას, ხელშეკრულების გაფორმებამდე, კომპანიის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებულ საბუთებთან ერთად, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგაც, აგენტს მოსთხოვოს საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენა.

3.4 მხარეთა ზოგადი უფლება-მოვალეობები:

- 3.4.1 ნებისმიერი ხარვეზის შემთხვევაში, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულება, მხარეები ვალდებული არიან აცნობონ ერთმანეთს წერილობით (მათ შორის ელექტრონული ფოსტის საშუალებით) და მიიღონ ყველა ზომა ხარვეზის აღმოსაფხვრელად გონივრულ ვადაში.
- 3.4.2 მხარეები ვალდებული არიან წინასწარ, გონივრულ ვადაში შეატყობინონ ერთმანეთს ნებისმიერი არსებული ან/და მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ, რომელიც მნიშვნელოვანია ხელშეკრულების მიზნების, მხარეთა უფლებების და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისთვის.
- 3.4.3 მხარეები ვალდებული არიან დაიცვან კლიენტთა შესახებ იმ ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელიც მათთვის გახდა ცნობილი ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე.
- 3.4.4 მხარეები ვალდებული არიან გადახდის დამუშავება განახორციელონ ხელშეკრულების დანართ #2-ში აღნიშნული ელექტრონული შეტყობინებების შესაბამისად.

მუხლი 4. საკომისიოს ოდენობა

- 4.1 მხარეები თანხმდებიან, რომ ბანკები, რომელთა მეშვეობითაც იქნება განხორციელებული გადახდა, მოემსახურებიან სერვის-პროვაიდერის აბონენტებს საკომისიოს გარეშე.
- 4.2 მხარეები თანხმდებიან, რომ სერვის-პროვაიდერი ანაზღაურებს მიღებული თანხის 2%-ს პროცენტს).
- 4.3 ცენტრის მომსახურების საკომისიოს თანხის გადახდა სერვის პროვაიდერის მიერ მოხდება ცენტრისა და სერვის პროვაიდერებს შორის შეფასების აქტის საფუძველზე გაფორმებული მ/ჩ აქტის თანახმად.
- 4.4 სერვის პროვაიდერის მიერ ყოველთვიურად გადახდის მომსახურების საფასურის 50(ორმოცდაათი) ლარის ოდენობით ჩარიცხვა უნდა მოხდეს მ/ჩ აქტის საფუძველზე ყოველი თვის ბოლოს.

მუხლი 5. გადახდის გაუქმება და კორექტირება

- 5.1 მხარეები თანხმდებიან რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთობის ფარგლებში შესაძლებელია ადგილი ქონდეს ტექნიკური ხარვეზების არსებობას. ასეთ შემთხვევაში ცენტრი უზრუნველყოფს შეტყობინებას (გადახდის უნიკალური კოდი; გადახდის შესრულების თარიღი; სერვისის დასახელება; გადახდილი თანხის ოდენობა; გაუქმების მიზეზი) სერვის პროვაიდერს ტექნიკური ხარვეზის შესახებ ელ.ფოსტის მეშვეობით. სერვის პროვაიდერი ვალდებულია არაუგვიანეს ერთი სამუშაო დღისა და დადასტუროს ტექნიკური ხარვეზის არსებობა და უზრუნველყოს ტრანზაქციის გაუქმება. თუ ტექნიკური ხარვეზიდან გადარიცხვიდან გამომდინარე სერვის პროვაიდერის ანგარიშზე მოხდა თანხის ჩარიცხვა იგი ვალდებულია ტრანზაქციის გაუქმებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა მოახდინოს თანხის დაბრუნება.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 6.1 მხარეები პასუხისმგებელი არიან აღებული ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულებაზე.
- 6.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარეს მიაღდა ზიანი მეორე მხარის (მისი წარმომადგენლის, თანამშრომლის ან ნებისმიერი უფლებამოსილი პირის) ბრალეული ქმედების ან ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, ის უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება საქართველოს

- 6.3 ხელშეკრულების 3.2.6. მუხლის პირობების დარღვევის გამო სერვის-პროვაიდერი უფლებამოსილია დააკისროს ცენტრს ჯარიმა გადასახდელი თანხის 0.05%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
- 6.4 ცენტრი არ არის პასუხისმგებელი სერვის-პროვაიდერის მიერ კლიენტის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებზე, რომელიც წარმოიშობა მომსახურების პროცესში.
- 6.5 ნებისმიერი პრეტენზია, რომელიც არ მოიაზრება 3.2.8 პუნქტში, მხარისაგან კანონიერია, თუ იგი წარდგენილია დარღვევის ფაქტის დადგომიდან 3(სამი) თვის განმავლობაში. აღნიშნული პრეტენზია წარდგენილად ითვლება, თუ ის წარდგენილია წერილობითი ფორმით კანონით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

მუხლი 7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ხელშეკრულების შეწყვეტა.

- 7.1 მომსახურების მიწოდების ვადაა 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
- 7.2 ხელშეკრულება მოქმედების ხელმოწერის დღიდან 2022 წლის 1 თებერვლის ჩათვლით.
- 7.3 ხელშეკრულება ითვლება გაგრძელებულად განუსაზღვრელი ვადით, თუ არც ერთმა მხარემ არ აცნობა მეორეს მისი მოშლის, ან ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლის სურვილის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე 30 (ოცდაათი) სამუშაო დღით ადრე;
- 7.4 მხარეები უფლებამოსილნი არიან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეწყვიტონ ხელშეკრულება.
- 7.5 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოშალონ ხელშეკრულება ნებისმიერ დროს იმ პირობით, რომ მოშლის თარიღამდე 30 (ოცდაათი) სამუშაო დღით ადრე წერილობით გააფრთხილებენ ამის შესახებ მეორე მხარეს.

მუხლი 8. ფორს – მაჟორი

- 8.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.
- 8.2 “დაუძლეველი ძალის” ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაეღებინათ.
- 8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის და არსებობის შესახებ მხარეებმა ერთმანეთს უნდა შეატყობინონ გონივრულ ვადაში.
- 8.4 შეუტყობინებლობის და/ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში მხარეები კარგავენ უფლებას, დაეყრდნონ ფორს-მაჟორულ გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს.
- 8.5 თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება ორ კვირაზე მეტ ხანს, მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ ხელშეკრულების ბედი. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ კომპრომისულ შეთანხმებას, დავას განიხილავს სასამართლო, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან კერძო არბიტრაჟი მხარეთა შეთანხმებისამებრ.

მუხლი 9. დავის გადაჭრა

- 9.1 დავის წარმოშობის შემთხვევაში მისი გადაწყვეტა შეიძლება მოხდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
- 9.2 ურთიერთშეთანხმებლობის შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლო გზით საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. დამატებითი დებულებები

- 10.1 ხელშეკრულება გაფორმებულია ქართულ ენაზე, ორ თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად. თითოეულ მხარესთან ინახება თითო ეგზემპლარი.
- 10.2 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.
- 10.3 ხელშეკრულება არ შეიცავს სიტყვიერ შეთანხმებებს.
- 10.4 ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან ძალაში აღარაქმდება დამატებითი დებულებები, რომლებიც შეიქმნება მხარეთა მიერ.

მუხლი 11. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

მხარეები ხელმოწერით ადასტურებენ თანხმობას ხელშეკრულების შინაარსზე.

სერვის- პროვაიდერი:	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	ცენტრი:	სს "გაერთიანებული კლირინგ ცენტრი"
მისამართი:	ქ.ლაგოდეხი 26 მაისის ქუჩა N25	მისამართი:	ქ. თბილისი, სულხან-საბას 1/5
საიდენტიფიკაციო კოდი:	233144987	საიდენტიფიკაციო კოდი:	204558353
ბანკი:	სახელმწიფო ხაზინა	ბანკი:	სს "პროკრედიტ ბანკი"
ბანკის კოდი:	TRESGE22	ბანკის კოდი:	MIBGGE22
ა/ა:	200122900	ა/ა:	GE39PC0133600100049676

მერი

დირექტორი

(ჯონდო მდივნიშვილი)

(ათანასე მაკარიდი)

LAGODEKH Digitally signed
| by LAGODEKHI
MUNICIPALITY Date: 2021.02.04
ITY 17:23:45 +04'00'

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიასა და სს "გაერთიანებულ კლირინგ ცენტრ"-ს შორის 2021 წ. დადებული მომსახურების ხელშეკრულების

დანართი #1

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიასა და სს "გაერთიანებული კლირინგ ცენტრი" თანხმდებიან, რომ 2021 წლის მომსახურების ხელშეკრულების 3.2.6 მუხლის შესაბამისად სერვის-პროვაიდერის მომხმარებელთა მიერ განხორციელებული გადახდები უნდა ჩაერიცხოს სერვის-პროვაიდერს ჯამურად შემდეგ საბანკო ანრაგომ(ებ)ზე:

ბანკი:	სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი:	TRESGE22
ა/ა	200122900
	სახაზინო კოდი: 300573189

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერი
ჯონდო მდივნიშვილი

სს "გაერთიანებული კლირინგ ცენტრი"-ს დირექტორი:
ათანასე მაკარიდი

LAGODEKHI Digitally signed
MUNICIPALITY by LAGODEKHI
TY Date: 2021.02.04
17:24:01 +04'00'

ტექნიკური პარამეტრები

UCC-სთან ინტეგრაციის სერვისის აღწერილობა

UCC-ს გადახდების სისტემაში სერვის პროვაიდერების ჩასართავად საჭიროა მხარეს ჰქონდეს ონლაინ ინტეგრაცია.

UCC-ს მოთხოვნების შესაბამისად, სერვის პროვაიდერის ონლაინ სერვისის მხარეს უნდა გააჩნდეს შემდეგი ინტერფეისი:

მეთოდის დასახელება	აღწერა	გადაცემული პარამეტრები
Debt	მეთოდი გამოიყენება აბონენტის ნომრის შესამოწმებლად, ასევე თუ სერვის პროვაიდერი იძლევა ამის საშუალებას, მეთოდმა უნდა დააბრუნოს აბონენტზე დარიცხული დავალიანება და ინფორმაცია.	სახელი: abonentCode ამ პარამეტრის საშუალებით გადმოგეცემათ აბონენტის საიდენტიფიკაციო ნომერი. სახელი: user სახელი: hash hash = md5(\$action.\$abonentCode.\$user.\$secretkey)
Pay	მეთოდი გამოიყენება გადახდის განსახორციელებლად კონკრეტულ აბონენტზე. აბრუნებს PayResult ტიპს.	სახელი: abonentCode სახელი: paymentId ამ პარამეტრით UCC მოგაწვდით თავისი გადახდის უნიკალურ იდენტიფიკატორს. სახელი: amount სახელი: user სახელი: hash hash = md5(\$action.\$abonentCode.\$paymentId\$amount \$user.\$secretkey)

Debt
Debt ოპერაცია აბრუნებს შემდეგი ტიპის XML-ს:

```
<?xml version="1.0" encoding="UTF-8"?>
<debt-response>
  <status>0</status>
  <debt>1500</debt>
  <name>Dimitri Gelovani</name>
</debt-response>
```

სადაც <status> ელემენტი განსაზღვრავს ოპერაციის შემდეგ სტატუსებს

კოდი 0 აღწერა ოპერაციამ ჩაიარა შეცდომების გარეშე

- 1 აბონენტი არ მოიძებნა
- 2 ეს შეცდომა გამოიყენება იმ შემთხვევაში თუ სერვის პროვაიდერის მხარეს არის ტექნიკური ხარვეზი რომელზეც დეტალების ცოდნა არ ჭირდება UCC-ს. მაგ. ბაზასთან არ არის კავშირი.
- 3 აბონენტზე უკვე არსებობს გადახდა. ბრუნდება იმ შემთხვევაში თუ სერვის პროვაიდერი არ იღებს წინასწარ გადახდებს.
- 5 ჰეში არასწორია
- 6 user არასწორია

სერვისის გამოძახება უნდა ხდებოდეს შემდეგნაირად:
<https://domain.ge?action=debt&abonentCode=123&user=ucc&hash=xxxxxxxxxxxxxx>

Pay
 გადახდის ოპერაცია აბრუნებს შემდეგი ტიპის XML-ს.
 <?xml version="1.0" encoding="UTF-8"?>
 <pay-response>
 <status>0</status>
 </pay-response>
 სადაც <status> ელემენტი განსაზღვრავს ოპერაციის შემდეგ სტატუსებს

კოდი	აღწერა
0	ოპერაციამ ჩაიარა შეცდომების გარეშე

- 1 აბონენტი არ მოიძებნა
- 2 ეს შეცდომა გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ სერვის პროვაიდერის მხარეს არის ტექნიკური ხარვეზი, რომელზეც დეტალების ცოდნა არ სჭირდება UCC-ს. მაგ. ბაზასთან არ არის კავშირი.
- 3 აბონენტზე უკვე არსებობს გადახდა. ბრუნდება იმ შემთხვევაში თუ სერვის პროვაიდერი არ იღებს წინასწარ გადახდებს.
- 4 გადახდა გადმოცემული იდენტიფიკატორით (paymentId) უკვე არსებობს.
- 5 ჰეში არასწორია
- 6 user არასწორია

სერვისის გამოძახება უნდა ხდებოდეს შემდეგნაირად:
<https://domain.ge?action=pay&abonentCode=123&paymentId=12345&amount=1&user=ucc&hash=xxxxxxxxxxxxxxxxxxxxxx>

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერი

/ჯონდო მდივნიშვილი/

LAGODEKHI
 MUNICIPALITY
 Digitally signed by
 LAGODEKHI
 MUNICIPALITY
 Date: 2021.02.04 17:24:21
 +04'00'

სს "გაერთიანებული კლირინგ ცენტრი"-ს
 დირექტორი:

/ათანასე მაკარიდი/

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტსა და სს "გაერთიანებულ კლირინგ ცენტრ"-ს შორის 2021 წ. დადებული მომსახურების ხელშეკრულების დანართი #3

ცენტრის საკლირინგო სისტემის მონაწილე კომერციული ბანკები:

1. სს "თი-ბი-სი ბანკი"
2. სს „საქართველოს ბანკი“
3. სს "ვი-თი-ბი ბანკი საქართველო"
4. სს "პროკრედიტ ბანკი"
5. სს "ბაზის ბანკი"
6. სს "ბანკი ქართუ"
7. სს "ხალიკ ბანკი საქართველო"
8. სს "აზერბაჯანის საერთაშორისო ბანკი საქართველო"
9. სს "ტერაბანკი"
10. სს "ბი-თი-ეი ბანკი"
11. სს „ფაშა ბანკი“
12. სს „ფინკა ბანკი“
13. სს „იშ ბანკი საქართველო“

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერი

ჯონდო მდივნიშვილი

LAGODEKHI
MUNICIPALITY

Digitally signed by
LAGODEKHI MUNICIPALITY
Date: 2021.02.04 17:24:36
+04'00'

სს "გაერთიანებული კლირინგ ცენტრი"-ს
დირექტორი:

/ათანასე მაკარიდი/